

შპს „მამალაძე ჯგუფი“

2023 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ქუთაისი

2024 წ

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3
2. სრული შემოსავლების ანგარიშგება ----- 4
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----5
4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება ----- 6
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----7

შპს მამალაძე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

საბალანსო ანგარიშგება		31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
1	ფულადი სახსრები	584,414.70	117,124.00	29,855.00
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	111,500.43	241,701.00	101,403.00
3	სასაქონლო მარაგი	13,562.71	13,550.00	41,425.00
3.1	ნედლეული და მასალები	13,562.71	13,550.00	41,425.00
4	სხვა მოკლევადიანი აქტივები	24,407.59	96,929.00	18,297.00
სულ მიმდინარე აქტივები		733,885.43	469,304.00	190,980.00
5	ქონება, მიწა, აღჭურვილობა	14,196,309.48	9,600,330.15	8,829,727.11
5.1	მიწის ნაკვეთები	5,535,750.00	4,886,550.00	4,886,550.00
5.2	შენობა-ნაგებობები	8,304,608.94	4,684,746.44	3,915,389.00
5.3	მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	355,950.54	29,033.71	27,788.11
6	არამატერიალური აქტივები	3,806.73	733.51	977.89
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,200,116.21	9,601,063.66	8,830,705.00
სულ აქტივები		14,934,001.64	10,070,367.66	9,021,685.00
7	საწესდებო კაპიტალი	2,000.00	2,000.00	2,000.00
8	სარეზერვო კაპიტალი	10,816,062.51	8,781,258.34	8,983,300.00
9	გაუნაწილებელი მოგება		180,783.00	12,268.00
10	დაუფარავი ზარალი (-)	(112,092.07)		
სულ საკუთარი კაპიტალი		10,705,970.44	8,964,041.34	8,997,568.00
11	დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	8,450.30	5,224.00	8,592.00
12	გადასახდელი ხელფასები	112.00	4,000.00	512.00
13	საგადასახადო ვალდებულებები	0.00	0.00	15,013.00
14	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	432,956.73	0.00	0.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		441,519.03	9,224.00	24,117.00
15	გრძელვადიანი სესხი	3,786,512.17	1,097,102.32	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,786,512.17	1,097,102.32	-
სულ ვალდებულებები		4,228,031.20	1,106,326.32	24,117.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,934,001.64	10,070,367.66	9,021,685.00

შპს მამალაძე ჯგუფი

სრული შემოსავლების ანგარიშგება (ლარი)

		2023 წელი	2022 წელი
სულ შემოსავალი		937,964.17	905,857.00
სულ დანახარჯები		1,215,978.56	725,073.98
სულ საოპერაციო შემოსავალი		912,748.74	905,857.00
სულ რსო		-	-
1	შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	912,748.74	905,857.00
	გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-	-
საერთო მოგება		912,748.74	905,857.00
2	კომერციული, საერთო და ადმინ-ლი ხარჯები	1,016,489.74	684,517.98
2.1	შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	417,347.47	359,483.01
2.2	კომუნალური ხარჯები	63,459.69	56,942.17
2.3	რეკლამა, მარკეტინგი	1,050.00	-
2.4	ტრანსპორტის ხარჯები	67.80	584.75
2.5	მიწის ნაკვეთის ხარჯები	-	-
2.6	საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	18,000.00	3,000.00
2.7	ცვეთა/ამორტიზაცია	163,663.62	159,453.59
2.8	საკანცელარიო ხარჯი	1,329.94	1,127.03
2.9	მიმდინარე რემონტის ხარჯი	19,692.96	10,963.10
2.1	სხვა ხარჯი	331,878.26	92,964.33
საოპერაციო მოგება		(103,741.00)	221,339.02
3	არასაოპერაციო შემოსავალი	25,215.43	-
3.1	კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	24,177.46	-
3.2	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,037.97	-
4	არასაოპერაციო ხარჯები	199,488.82	40,556.00
4.1	კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	-	22,637.00
4.2	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	199,488.82	17,919.00
მოგება დაბეგვრამდე		(278,014.39)	180,783.02
5	მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება		(278,014.39)	180,783.02

შპს მამალაძე ჯგუფი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი)		ლარი
	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში	117,124.00	29,855.00
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება	1,140,142.54	1,015,841.02
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	1,140,142.54	1,015,841.02
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება	1,070,255.76	736,798.34
- შრომის ანაზღაურება	361,356.33	376,877.26
- კომუნალური ხარჯები	63,459.69	56,942.17
- ტრანსპორტის ხარჯი	67.80	584.75
- გადასახადები	254,633.85	102,178.91
- სხვა ხარჯები	390,738.09	200,215.25
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,734,279.44)	(1,051,930.00)
- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	356,314.21	-
+ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა	-	-
- კაპიტალური ხარჯები	2,377,965.23	1,051,930.00
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	3,131,683.36	860,156.32
- კურსთა შორის უარყოფითი სხვაობა	-	22,637.00
+ კურსთა შორის დადებითი სხვაობა	24,177.46	-
+ აღებული სესხი	3,354,030.00	1,116,440.00
- სესხის დაფარვა	231,663.42	19,337.68
+ ბიზნესში ინვესტირებული ფული	-	-
- დივიდენდი	14,860.68	214,309.00
წმინდა ფულადი სახსრები	467,290.70	87,269.00
ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს	584,414.70	117,124.00

შპს მამალაძე ჯგუფი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

განზ. ერთეული: ლარი

2023 წელი		საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (01.01.2023)		2,000.00	8,781,258.34	180,783.00	-	8,964,041.34
+	ზრდა პერიოდის განმავლობაში		2,034,804.17			2,034,804.17
-	კლება პერიოდის განმავლობაში	-		(14,860.68)	(278,014.39)	(292,875.07)
ნაშთი პერიოდის ბოლოს (31.12.2023)		2,000.00	10,816,062.51	165,922.32	(278,014.39)	10,705,970.44

შპს „მამალაძე ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მამალაძე ჯგუფი“ (ყოფილი, შპს ავტოტრანსპორტი 91) რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში 1995 წლის 29 დეკემბერს.

შპს „მამალაძე ჯგუფის“ სახელწოდება 2023 წლის ოქტომბრამდე იყო შპს „ავტოტრანსპორტი 91“, თუმცა დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით მოხდა კომპანიის სახელის ცვლილება, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციაში გატარდა 2023 წლის 31 ოქტომბერს.

შპს „მამალაძე ჯგუფის“ გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი არის 212670091. კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53 გ. შპს-ს დამფუძნებლები არიან:

- ქეთევანი მაჩიტაძე - 5,25%;
- გულნაზ მამალაძე - 5,25%;
- სალომე მამალაძე - 89,5%.

შპს „მამალაძე ჯგუფის“ საქმიანობის პროფილი არის უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) გაქირავება.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს მხოლოდ ერთი საწარმოს - შპს „მამალაძე ჯგუფის“ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც დაიწყო 2023 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

მომზადების საფუძველი

შპს „მამალაძე ჯგუფის“ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების და

ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „მამალაძე ჯგუფი“ უწყვეტად განაგრძობს თავის საქმიანობას: პარტნიორები და ხელმძღვანელობა არ გეგმავენ მის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც აიძულებს მათ ამის გაკეთებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში დამატებით აღნიშვნას.

აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი;

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე;

ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა წელს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული რამ არ არის მოცემული.

ფულადი სახსრები

- კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, ისევე როგორც შესადარისი პერიოდის ბოლოსათვის, მოიცავს ანგარიშსწორების ანგარიშზე და ორგანიზაციის სალაროში არსებულ ფულად ნაშთებს, მათ შორის ეროვნულ ვალუტას (ლარს) და უცხოურ ვალუტას, რომელიც წარმოდგენილია ევროს სახით;
- უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაცია საანგარიშგებო ვალუტაში და შეტანა ანგარიშგებაში ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

აქტივების თვითღირებულება

- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის/შექმნის ღირებულებას და შეძენასთან/შექმნასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისათვის გამოიყენება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი;
- კომპანიის არსებული მარაგები ძირითადად მოიცავს სამშენებლო-სარემონტო და სამეურნეო მასალებს;

დებიტორული დავალები

- კომპანიის დებიტორული დავალიანებები როგორც საანგარიშგებო, ისე შესადარისი პერიოდისათვის, წარმოადგენს მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიქმნა მოიჯარეებზე დარიცხული საიჯარო ქირითა და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების საფუძველზე;

ძირითადი საშუალებები

- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით; ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;
- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას მენეჯმენტის მიერ გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების გარემო;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

#	ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
1	მიწის ნაკვეთი	არ ერიცხება ცვეთა
2	შენობა-ნაგებობები	30-40 წელი
3	მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
4	ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
5	სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები;
- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას (კაპიტალური რემონტი) და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას (მიმდინარე რემონტი), გაწვევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი;
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;

- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

არამატერიალური აქტივები

- არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით;
- არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდის საფუძველზე, მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;
- მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, არსებული არამატერიალური აქტივების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5 წელი;

ვალდებულებები

- კომპანიის მოკლევადიანი/მიმდინარე კრედიტორული ვალდებულებები წარმოადგენენ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით შესყიდვის შედეგად და როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდში; ასევე წარმოადგენენ გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილს, რომელიც იფარება საანგარიშო პერიოდში;
- კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებულ გრძელვადიან საბანკო სესხს, რომელიც გამოყენებული იქნა გრძელვადიანი აქტივის შექმნისათვის. სესხი აღებულია უცხოურ ვალუტაში (ევროში) და მისი დავარვის ვადა შეადგენს 10 წელს.

კომპანიის კაპიტალი

- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის. ის მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს (საწესდებო კაპიტალს), სარეზერვო კაპიტალს და კაპიტალის ნაზარდს, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად და რჩება კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის, დამფუძნებლებისათვის დივიდენდების

გადახდის შემდეგ; ისევე როგორც კაპიტალის კლებას, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მიერ მიღებული ზარალის შედეგად;

- კომპანიის სარეზერვო კაპიტალი ძირითადად შექმნილია კომპანიის ძირითადი საშუალებების აფასების საფუძველზე;

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

- შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების მიწოდების შემდეგ დარიცხვის მეთოდის გამოყენებით;
- კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს (საოპერაციო შემოსავალს) წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები;
- კომპანიის შემოსავლებში/ხარჯებში აღიარდება არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები, მათ შორის ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ფინანსური შედეგები;
- კომპანიის ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით;

დაბეგვრა

- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები;

შპს „მამალაძე ჯგუფი“-ს დირექტორი

